**აზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. ბარ. ზინოვიევის სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—892 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1892



ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

ამზადებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათა შესახვევს მასალას.**

## სხვათა შორის აქვს კეთება:

ოპჭვის წყალისა, რომელიც ერთს წუთს სწმენდავს ჭაერს, ჭაერის მყვრალს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Budault (ისპანურის ღვინით), რომელიც მალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ოდე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მატიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდოფორმით შეზავებული მარლისა.

უთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილიარეტის აფთიაქში (წურინოვისებურ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—29)

გამოვიდა ისტორიული თხზულება ანტონ ფურცელაძისა:

## ბრძოლა

**საქართველოს მოსპობაზედ და საქართველოს შეაერთებლად**

ანუ

გიორგი სააკაძე და მისი დრო.

იყიდება ტფილისს და სხვა ქალაქებში, სადაც-კი აქვს ქართული წიგნების გამომცემს საზოგადოებას წიგნთსაწყობები. იყიდება აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გმგეობა აცხადებს, რომ გაგვავის ქართულის სკოლის უფროსის მასწავლებლის (III და IV განყოფილებისა) ადგილი დაცლილია. ვისაც სურს ამ ადგილის დაჭერა, უნდა შემოიტანოს თხოვნა გამგეობის სახელზე 10 მარიამობისთვემდე. მასწავლებელს აქვს ჯამაგირი 400 მანეთი, სახლი, შეშა და სანთელი; ჰყავს მსახურიც. საღმრთო სჯულისა და გალობის სწავლებისთვის დანიშნულია ცალკე ჯამაგირი. (10—7)


## ახალი ამბავი

⁂ 26 ივნისს ტფილისის მიხეილის სამკურნალოში ავადმყოფი იყო—10. დღისით მიიყვანეს კიდევ 2, გარდაიცვალა 1. დილით 27 ივნისს სამკურნალოში იყო 11.

სამკურნალოს გარეშე 25 ივნისს ავად გახდა 2, 26 ივნისს კიდევ 1, რომელიც იმავე დღეს გარდაიცვალა.

27 ივნისს დილით სამკურნალოში იყო 11 ავადმყოფი. იმავე დღეს საღამოს 7 საათამდე მიიყვანეს 3 კაცი: რუსიშვილი (სემიონოვის ქუჩაზედ გახდა ავად), შეველევი (ტფილისის 2 ნაწილი, მთაწმინდის ქუჩა, ფომინის სახლი № 321) და ასატუროვი (7 ნაწილი, სახლი ნიკოსი, სახლის პატრონის გვარი ავადმყოფს არ ახსოვს). 27 ივნისს ღამე სამკურნალოში მიიყვანეს 2 კაცი და 1 ქალი: გეორგობიანი (7 ნაწილი, კახეთის ქუჩა, იშხანოვის სახლი), ცაკან ვართანოვი (7 ნაწილი, ხარიტონოვის სახლი) და ქვრივი აკულინა ალექსის ასული ბალაშოვისა (5 ნაწილი, მოლნილის ვიწრო ქუჩა, შანშიევის სახლი).

იმავე ღამეს სამკურნალოში 4 ავადმყოფი გარდაიცვალა (ვართანოვი, შეველევი, ასატუროვი და ქალი ზაბროდინისა).

28 ივნისის საღამოს სამკურნალოში იყო 12 ავადმყოფი, 9 კაცი და 3 ქალი. იმავე დღეს კიდევ მიიყვანეს 2 კაცი და 1 ქალი. ღამე ავად გახდა კიდევ ერთი და გარდაიცვალა 1. 29 ივნისს დილით სამკურნალოში იყო 13 ავადმყოფი, 10 კაცი და 3 ქალი.

⁂ ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 24 ივნისს ბაქოს სამკურნალოებში მიიყვანეს 37 ხოლერით ავადმყოფი. იმავე დღეს გარდაიცვალა 18, მორჩა 6, სამკურნალოებში იმყოფება 179. თეთრ ქალაქში ავად გახდა 7, მორჩა 3, ავად არის 10. ბალახანა-საბუნჩის აგარაკში კიდევ ავად გახდა 12, გარდაიცვალა 7, ავად არის 13. სალიანის ბატალიანის სამკურნალოში მიიყვანეს 8, ავად მყოფია 23. ყუბას მაზრაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1. ჯევათის მაზრაში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 1.

25 ივნისს ბაქოს სამკურნალოებში მიიყვანეს 37 ავადმყოფი, იმავე დღეს გარდაიცვალა 25, მორჩა 11, სამკურნალოებში იმყოფება 180. სამკურნალოებს გარეშე ბაქოში გარდაიცვალა 63, თეთრ ქალაქში გარდაიცვალა 4, ავად გახდა 1. ბალახანაში ავად გახდა 13, გარდაიცვალა 4, მორჩა 2, კიდევ ავად არის 20. სალიანის ბატალიონის სამკურნალოში მიიყვანეს 2, გარდაიცვალა 2, კიდევ ავად არის 23. ბაქოს საპატიმროში გარდაიცვალა 1 პატიმარი.

26 ივნისს ბაქოს სამკურნალოებში კიდევ მიიყვანეს 29. იმავე დღეს გარდაიცვალა 32, მორჩა 16, სამკურნალოში იმყოფება 161. სამკურნალოებს გარეშე გარდაიცვალა 41. თეთრ ქალაქში ავად გახდა 1, კიდევ ავად არის 5. ბალახანა-საბუნჩის აგარაკში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 6, მორჩა 5, კიდევ ავად არის 14. სალიანის ბატალიონის სამკურნალოში მიიყვანეს 3, გარდაიცვალა 1, ავად არის 25. ყუბას მაზრაში გარდაიცვალა 9, გეოქჩაის მაზრაში—3.

⁂ განჯის გუბერნატორი იუწყება: 24 ივნისს შუშის სამკურნალოში მიიყვანეს 1 ავადმყოფი, სამკურნალოს გარეშე 3 ავადმყოფია, ორი მათგანი აღდამიდგან მიიყვანეს. იმავე დღეს გარდაიცვალა 4. შუშის მაზრის სოფლებში: ხინგირისტანსა, გისუბას, შეილს, შუშიქენტს, ოვარას და ქალბალიქენტში ავად გახდა 6 მკვიდრი მცხოვრები.

ევლახის სადგურზედ მატარებლით № 22 მიმავალი ავადმყოფი დასტოვეს, რომელიც იმავე ღამეს გარდაიცვალა. იქვე ქარვასლებში ავად გახდა 2. ჯევანშირის მაზრის სოფ. ალპაუტში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1. სოფლებში: კურთამანიანსა, კილიკსა, ბოიხმეთლუსა და თარაქამანში თითო კაცი გახდა ავად-ყველა გარდაიცვალა. მთელს გუბერნიაში ავად არის: შუშაში—10, შუშას მაზრაში 11, ჯევანშირის მაზრაში—11, ყაზახის მაზრაში 1, განჯაში 3, სულ 45.

25 ივნისს ქალაქ შუშას სამკურნალოში მიიყვანეს 2 ავადმყოფი და ორივე გარდაიცვალა. სამკურნალოს გარეშე ავად გახდა 10, გარდაიცვალა 3. შუშას მაზრის სოფ. შაშიკენთში ავად გახდა 1, შარუკემისში 2, ხანაბადში—3, სამკურნალოში 1, სულ 7. ამას გარდა სამკურნალოშია კიდევ 3. ჯევანშირის მაზრის სოფ. ალპაუტში ავად გახდა 4, სოფ. კიამანჯლოში 2, ორივე გარდაიცვალა. შირვანლახში ავად არის 1. ყაზახის მაზრის სოფ. ალსტაფაში ავად გახდა პენზის გუბერნიის მცხოვრები კასაფროვი. განჯის სადგურზედ 2 ავადმყოფი აღმოაჩინეს და სამკურნალოში გაჰგზავნეს. თვით განჯაში ავად არავინ გამხდარა. მთელს გუბერნიაში ივნისს ავად არის: შუშაში 26, შუშას მაზრაში 10, ჯევანშირის მაზრაში 16, განჯაში 3, განჯის სადგურში 2, ყაზახის მაზრაში 1, სულ 58.

26 ივნისს შუშაში ავად გახდა 18, გარდაიცვალა 5. მაზრაში ავად იყო 10, კიდევ ავად გახდა 8, გარდაიცვალა 8. ზანგეზურის მაზრაში გარდაიცვალა 7. ჯევანშირის მაზრაში გარდაიცვალა 8. ქალაქ ნუხაში ავად გახდა 1. განჯაში გარდაიცვალა 1. მთელს გუბერნიაში ავად არის: შუშაში—34, მაზრაში—10, ჯევანშირის მაზრაში—9, განჯაში—3, სულ—56.

⁂ დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 24 და 25 ივნისს პეტროვსკში ავად გახდა ხოლერით რკინის გზის ლიანდაგის სამი მუშა, ერთი გარდაიცვალა. დარგინის ოლქში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 3.

პეტროვსკის სამკურნალოში 8 ავადმყოფია, კუსინკისა, დარგინისა და სამურის ოლქებში—17.

## ფელეტონი

### ხალხური ლექსები

(შეკრებილი ამერიმერეთში მეთვალყურეს მიერ)

სატრფიალონი

ლექსები ვიცი იმდენი,
დილმა მინდორზედ გძელია;
თუ გინდა შინაც გაგატან,
მოგაწყვეტინო წელია.

—

ქალმა აიღო, ქვა დამკრა,
რა გულმა გააბედვინა?
შიგნიდგან გული მომიკლა
გარს ცეცხლი მოადებინა.

—

ღრიჭინამა ღრიჭინითა
ზეცას ღრუბელი გაჰყარა;
ქალმა გარჯით და შრომითა
ვაჟკაცს თავი შეაყვარა.

—

რას მერიდები, გოგონა,
რას ჰკეტავ კარებს მაგრადა;
შენი მტერი ხომ არა ვარ,
შემოგივარდე ძალადა?!

—

ყოვლგნით მესმა ქება თქვენი
შვიდ მნათობთა მაგიერად,
ყოვლის ტურფის უმჯობესნო,
ტახტზედ ზიხართ ლმობიერად.
ღმერთმა თქვენი თავ-გვირგვინი
მოგიხდინოთ ბედნიერად,
ყოვლად წმინდამ ვაჟი მოგცეთ,
შეგაბეროთ ლმობიერად.

—

ყველა ფრინველი ხეზედ ზის
მწყერი მიწაზედ გოგდება...
ქალო, რად გინდა უცხო მხრის,
დასნეულდება, მოკვდება.

—

მინდვრიდგან მიხვალ შენ, ქალო,
ამომავალი მზე ხარო,
ნეტავი იმის დედასა,
რომლის მკლავზედაც წევხარო!

—

ქალები დაგროვებულან
სიმინდის სათოხნელადო,
ლოყები დასწითლებიათ
ბიჭების საკოცნელადო.

—

დაბრუნდი, თუ დაბრუნდები,
ვით ხარატული ჯარაო;
გამზრდელ-გამწვრთნელი გიცხონდა,
ერთგული შენი ლალაო.

—

ქალმა სთქვა: ქმარი არ მინდა,
ნუ გამათხოვებ, დედაო;
თუ მიმცემ, ისეთს კაცს მიმეც,
რომ იყოს გუთნის-დედაო.

—

გოგომ მოაწყო ოჯახი,
ვით პატარძალი მორთული,
წინდა-საჩოხე ჩამაცვა
თავის თითებით დართული.

—

მაღლა ციდგან მოფრინავდა
ფრთა-გაშლილი ბულბულიო...
ჩვენ რომ ერთმანეთს დავშორდეთ,
რით მოვიკლათ წყურვილიო?

—

რად მოიცალა ი ღმერთმა
შენის თვალ-წარბის წერათა;
ან რით შეგამკო ეგეთი,
ან რად დასწერა ხელათა?!

—

საიდგან მოხვალ შენ, ქალო,
მხარზედ რომ გიდგას კოკაო?
მომზადებულხარ სასძლოდა,
დაგწითლებია ლოყაო.

—

სიყვარულსა მალვა უნდა,
როგორც ცხენსა ნაპარევსა,
გამოჩნდება, გლოვა უნდა,
როგორც ძმასა საყვარელსა.

—

გოგომ ფიჩხი ჩააყარა,
თონე ამოპრიალდაო;
მორჩა საქმეს და დაჰმღერა,
ხმები ჩააკრიალაო.
შევხედე და შემომხედა,
რეტმა დამატრიალაო.

—

ქალმა ვაშლი შემომტყორცნა,
ამოიღო უბიდგანა:
—ჩემეულად შემინახე,
არ გადმიგდო გულიდგანა.

—

გოგო, შენს მოღალატესა
მაღლა ღმერთი გაუწყრესა;
ომში შეტანილი ხმალი
მარაკშიაც გაუტყდესა;
იალბუზის მინდორზედა
ნიავლვარიც აუდგესა;
წყალ-ძლიერ მოწყურებულსა
წყაროს წყალიც დაუშრესა.
გოგო, შენს მოღალატესა
მაღლა ღმერთი გაუწყრესა.

⁂ ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: 26 ივნისს ბაქოდგან ბათუმში მოსულ მუშათა შორის ერთი კაცი გახდა ავად და იმავე დღეს გარდაიცვალა.

⁂ 28 ივნისს საქართველოს ეგზარხოსმა პალლადიმ, ეპისკოპოსმა ალექსანდრემ და ტფილისის სამღვდელოებამ პარაკლისი გადიხადეს ხოლერისაგან დახსნისათვის. სამღვდელოებამ ლიტანიით გაიარა ქუჩები: სიონისა, პრიკაზისა, შუაბაზრისა, ერევნისა, პუშკინისა, ლორის მელიქოვისა, გალავინის პროსპექტი და სასახლისა. ლიტანიას დაესწრნენ: მთავარ-მართებლის თანაშემწე ი. დ. ტატიშჩევი, მთავარ-მართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი მიცკევიჩი და ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ. შერვაშიძე და მრავალი ხალხი. 29 ივნისს-კი ტფილისს თითოულ ეკკლესიის კრებულმა გადიხა და პარაკლისი და ლიტანიითვე დაიარა თავისი სამრევლოები.

29 ივნისს, მაგალითად, პეტრე-პავლობა დღეს, ტფილისის სამების ეკკლესიაში დეკანოზმა ნიკოლოზ არდაზიანმა კრებულითურთ ჩვეულებისამებრ სწირა და შემდეგ წირვისა წარმოსთქვა სიტყვა შესახებ სასტიკის სენისა, რომელიც ღვთის რისხვად მოევლინა ჩვენს დედა-ქალაქს. მერე გადაიხადა სავედრებელი პარაკლისი სენის ასარიდებლად და განსაქარვებლად. შემდეგ პარაკლისისა მამა დეკანოზი ხელში ჯვარითა და კრებული ხატებითა, დროშებითა, ლამპრებითა, წმიდა წყლითა და ქართულ მგალობელთა გუნდით ეკკლესიიდგან გამოვიდნენ, აუარეს გვერდზედ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის [illegible] და გაიარეს ლიტანიით მთლად გოლოვინის პროსპექტი, აიარეს ჭავჭავაძის ქუჩა და ავიდნენ მთაწმიდაში, გაიარეს მთლად მთაწმიდის ქუჩები და გადავიდნენ მთაწმინდის მოედანზედ. მოედნიდგან დაუხვიეს, გაიარეს სათავად-აზნაურო სკოლის სახლთან და სახლის გვერდზედ. იყო გზა და გზა გალობა სხვა-და-სხვა წმიდანების ტროპარ-კონდაკებისა; რამდენსამე ჯვარედინს გზაზედ ლიტანია შესდგა და შესაფერის ლოცვებით ისხურებოდა ხალხი წმიდა წყლითა. ლიტანიაში დიდძალმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა და სასოებით ევედრებოდა ღმერთს ქვეყნის ხსნასა და დაფარვას. ასევე მოიქცა დანარჩენ მართლ-მადიდებელ ეკკლესიათა კრებულიცა.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერს შემდეგი შეწირულება მიუღია რუსეთის დამშეულთა გუბერნიების სასარგებლოდ 1 ივნისიდამ 1 ივლისამდე: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსამსახურეთაგან—10 მან. 65 კ., კავკასიის მსროლელთა 1 ბატალიონის ფელთფებელ ბულანკინისაგან—3 მან. 21 კაპ. და ტფილისის საკრედიტო ბანკის მოხელეთაგან—17 მან. 96 კაპ. სულ 31 მან. 82 კ. წინად შეგროვილით 3888 მან. 60 კაპ. ეს ფული ხაზინაში იქმნა შეტანილი.

⁂ გაზეთი „Каспій“ სწერს: ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ ოფიციალურ ცნობათაგან სჩანს, რომ ბაქოში 6 ივნისიდგან 26 ივნისამდე გარდაიცვალა 996 კაცი. ამას გარდა ბალახანაში კიდევ 37 გარდაიცვალა. ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ ორის კვირის განმავლობაში ბაქოდგან 44 ათასი მცხოვრები წავიდათ კავკასიის რკინის გზით. ამას უნდა მიემატოს 50 ათასი კაცი, რომელიც გემებითა და ეტლებით წავიდნენ ბაქოდგან და აღმოჩნდება, რომ ქალაქიდგან წასულა 100 ათასამდე კაცი. მთელს ბაქოში-კი სულ 120 ათასი მცხოვრები იყო, ასე რომ ამ ჟამად ბაქოში მხოლოდ 20 ათასი მცხოვრებია.

ბაქოს საგუბერნიო მმართველობის სამკურნალო განყოფილებამ მისწერა ყველა აფთიაქების პატრონებს: უკეთუ 1 ივლისისთვის საკმარისი სადეზინფექციო წამლები არ გექნებათ, სამართალში იქნებით მიცემულნიო.

26 ივნისს გემით „ადმირალ კორნილოვ“-ით ბაქოდგან გაემგზავრა ასხაბადს ბ-ნი ფ. ვ. ლეისი ფერშლებითურთ, რომელიც იმიერ-კასპიის უფროსმა გენერალმა კურაპატკინმა კარანტინის გასამართავად. ბაქოს თავშესაფარში უფასო „საჩაიე“ გაიმართა.

⁂ ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნი კავკასიის საიმპერატორო საზოგადოების ჟურნალისა (№ 3—4). ამ წიგნში საზოგადოების ანგარიშის გარდა შემდეგი წერილებია დაბეჭდილი: „კულტურა ვაზისა“ ს. ტიმოფეევისა, „ბამბის მოყვანა ამიერ-კავკასიაში“—ნ. ტარატინოვისა, „მეურნეობის გაუმჯობესობის შესახებ“—ი. წინამძღვრიშვილისა, „კეთილდღეობის საფუძველი მეურნეობაა“—ნ. ტარატინოვისა, „პატარძეულის სასამეურნეო საზოგადოების სადგური“ და „ვარდი და მისი კულტურა“.

⁂ ტფილისის საბალოსნო სკოლის შეგირდები მთავრობის ნებართვით მთელს ზაფხულს დათხოვნილ იქმნენ თავ-თავიანთ სახლებში.

⁂ 27 ივნისს სპარსეთის ელჩმა მირზა-რიზა-ხანმა ინახულა სპარსეთის ქვეშევრდომი სომეხი ხოლერით ავადმყოფი პატმარი, რომელიც საპატიმროს სამკურნალოში იმყოფება.

27 ივნისს ტფილისის მეჩეთში მაჰმადიანთა კრება მოხდა სპარსეთის ელჩის მირზა-რიზა-ხანის თავმჯდომარეობით. კრებამ გადასწყვიტა: შეგროვდეს საჭირო ფული და ტფილისში მაჰმადიანთა ხოლერით ავადმყოფთათვის ცალკე სამკურნალო გაიმართოს. ხოლო მკურნალებისა და ფერშლების დანიშვნა მთავრობასა სთხოვოს. სპარსეთის ელჩმა მირზა-რიზა-ხანმა მეჩეთშივე ხელის-მოწერა გაჰმართა და პირველად თითონ 300 მანათი შესწირა სამკურნალოსთვის, შემდეგ სხვებმაც მოაწერეს ხელი და იმავე დღეს 1,500 მანათი შეგროვდა. სამკურნალოში ყველა მაჰმადიანს მიიღებენ, რუსეთის ქვეშევრდომი იქნება, თუ სპარსეთისა.

⁂ ქუთაისს: რკინის გზის მმართველობას გადაუწყვეტია, რომ ქუთაისის დასაცველად ხოლერისაგან ბეჟათუბანში მისმა მკურნალმა ქუთაისის ქალაქის მკურნალთან ერთად სინჯოს მგზავრნი მატარებელში და თუ ვინიცობაა ხოლერიანი ავადმყოფი აღმოჩნდა, ჰგზავნოს გომში, საცა მათთვის მზადდება განსაკუთრებული სამკურნალო.

⁂ ხაშური: 27 ივნისს დეპოდამ უეცრად გაჰქანდა ბარბარინოსკენ მატარებელი, რომელზედაც არავინ არ იყო. მატარებელს გამოეკიდა მის ღუმელის გამთბობი, გვარად ებაპანიძე, დაეწია და გააჩერა.

⁂ ზესტაფონი (შორაპნის მაზრა): ტფილისიდგან ყოველ დღე სულ ერთი მეორეზედ გულ გასახეთქი ამბები მოგვდის. ხოლერა და ხოლერა—ესღა გვაკერია პირზედ. ის ხმა-კი, რომ ქალაქში ახლა ხოლერა ვითომ უკვე მუსრს ავლებს, აქაურ მკვიდრთ—თითქმის უმეტესობასა—სჯერა. თუმცა გაზეთები არასა სწერენ ამაზედ, მაგრამ ასე ამბობენ—თვალს გვიხვევენ, არ აცხადებენ, რომ ხალხი არ დააფრთხონო. ამ დღეებშიაც ხმა ჩამოვიდა, რკინის გზის ტფილისის დეპოში 9 კაცი უკვე მოკვდა ამ სენითაო. ცხადია, რომ ეს ხმა დაშინებულის ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ ბაქოში მისი მძვინვარება, სწორე მოგახსენოთ, ვერაფერი სანუგეშოა, ბაქოსა და ქალაქს შუა დიდი მანძილი არ არის და ქალაქიდგან ზესტაფონამდე ხომ მით უფრო.

დიაღ, მოველით გულის ფანცქალით ამ უცხო სტუმარს და იმედიც გვაქვს, გულ-ნატკენს არ გავისტუმრებთ. სამწუხაროდ, თავისს ულუფას ბლომად მიიღებს.

ხოლერის გაჩენას აქ ყველაფერი უწყობს ხელს. მკვიდრთა სიძულილი სისუფთავისა, სტომაქის მომშლელი წყალი, ყოველის სიბინძურით სავსე დუქნები, ჰუჰყით მოფენილი ქუჩები და სხ. და სხ. ვისაც ჯერ არს დაბის სისუფთავეს ყურადღება მიაპყრას, უეჭველია ბრძანება ექმნება მიღებული, რომ ღონისძიებანი იხმაროს ამ სასტიკის სენის დასახვედრად. მაგრამ ჯერ როგორღაც მიყრუებულია ყველაფერი; ისევ წინანდებურის სახით მიდის აქაური ცხოვრება: სიბინძურე, სიბინძურე და ისევ სიბინძურე. ეს თვისება აქაურებს თითქო აკვნიდგანვე ჰქონდეთ თანდაყოლილი; სისუფთავე თითქო მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნდეთ. რა საკვირველი იქმნება, რომ ძალიზედ შეგვათხელოს ამ სტუმარმა. მერე იტყვიან, ხოლერის ბრალიაო! შიშით-კი გვეშინიან, მაგრამ ის-კი არ გვაგონდება, რომ მარტო „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა“. შიშთან კიდევ რაღაცაა საჭირო და სწორედ ეს რაღაცა გვაკლია ჩვენცა. მაგრამ რაც იქმნება, იქმნება.

ნუგეშად კიდევ ისა გვაქვს, რომ შავს ქვას, მზგავსად სპილენძისა, სადეზინფექციო წამლის თვისება აქვსო.

⁂ ახალქალაქი: თიბათვის ჳ-ს სოფ. ღადოლარში დიდი ღვარებიანი წვიმა იყო და ერთი სომეხი დაარჩო ავდრის წყალმა.

აქეთკენ მოსავალი ჯერ დაბალია, ავდრები არ აკლია და თუ ღმერთმაცა და ღრუბელი დაუმშვიდა, კარგს მოსავალს უნდა მოველოდდეთ.

⁂ იქადამკე: ამ დღეებში ერთმა ტურცხელმა ფრანგის ბიჭმა მინდვრიდგან მოიტაცა ერთი ალასტნელი ფრანგისავე ქალი. ქალის ნათესავები თოფებით მისცვივნიან ბიჭს, მაგრამ ბიჭის ნათესავებიც ყოჩაღად დახვედრიან და ქალის ნათესავებთან ჩხუბი მოსვლიათ. როგორც ყოფილა, მოშველებულან და ქალი დაუნიშნავთ ბიჭზედ. რამდენისამე დღის შემდეგ ქალს კვლავ უარი გამოუცხადებია, მაგას ვერ მივთხოვდებიო, და საქმე გამომძიებლისთვის გარდაუციათ.

⁂ სოფ. კოთელია (ჯავახეთი): ეს ორი-სამი დღე იქნება, რაც ჯავახეთში სიცივე-ყინვებია; მთებზედ აქა-იქ თოვლი მოვიდა და ჰაერი ძლიერ გამოიცვალა, მეტის-მეტად აგრილდა და ცივა.

⁂ ზუგდიდი: ქვეყანამ გაიგო, რომ ალაგ-ალაგ ჩვენს საქართველოში ხოლერამ თავი იჩინა, ან მოსალოდნელია, დღეს არა, ხვალ იჩენს თავს. ამ ამბავმა ყველა გულის-ხმაში ჩააგდო, ყველა დააფიქრა და დიდსა თუ პატარა დაბა-ქალაქში ფაცა-ფუცი შეუდგათ. ჩვენს დაბას-კი ჯერ არა ეტყობა-რა სამისო. გაზეთების ლაპარაკი, მეცნიერების ლაღადება, რომ თუ გინდათ თავს უშველოთ და გადარჩეთ საშინელს მოარულს ჭირს, სისუფთავეს მიაქციეთ ყურადღებაო, ჩვენ თითქო არ გვესმის. ჩვენის დაბის ქუჩები ისევ უწმინდურებით არის სავსე: სად კატა გდია, სად ძაღლი, სად ნაგავი ჰყრია და ავი სუნი ტრიალებს. ყველგან სანიტარები დაინიშნენ, ვოლნებ ყველგან მზადება და თადარიგია დაჭერილი, ჩვენ-კი ყურზედ გვძინავს. დავიჯეროთ, საზარელ ხოლერის შიში მაინც არ გამოგვაღვიძებს!?

⁂ ფოთი, 25 ივნისს. აგერ ექვსი თვე სრულდება მას აქეთ, რაც ჩვენი ქალაქის თავი წავიდა პეტერბურგს ქალაქის საქმეების გასაკეთებლად. თავი და თავი საქმე, რომელიც უნდა [illegible] ქალაქის თავს, ის გახლდათ, რომ მის წასვლით ცოტა მაინც განკარგებულიყო ქალაქის კასსის არა სანატრელი მდგომარეობა. სწორედ ამისათვის არჩიეს ხმოსნებმა, ვიშუამდგომლოთ უმაღლესს მთავრობის წინაშე, რომ მოგვცეს მეოთხედი ნაწილი იმ ფულისა, რომელიც გროვდება ნავთ-სადგურიდგან გატანილ-შემოტანილ საქონლის ბაჟად ($^1/_4$ მილიონამდე უკვე მოგროვებულია). მოიწვიეს ხმოსნები, გაიმართა ბჭობა და გადაწყდა: გაიგზავნოს ქალაქის თავი პეტერბურგს და მიენდოს ზემოხსენებული შუამდგომლობა გასწიოს, რისთვისაც მიეცეს ამ თავითვე საქმის საწარმოებლად ას ორმოც-და-ათი თუმანი (1500 მ.), ხოლო იმ პირობით კი, რომ მეტის ხარჯის გაღება ამ საქმისათვის აღარ დასჭირდეს ქალაქსაო. ფული თუმცა ხელად არ ჰქონდათ, სესხით იშოვეს და გაისტუმრეს ქალაქის თავი. ორი თთვე იქნებოდა გასული, რომ ქალაქის თავმა მოიწერა პეტერბურგიდამ: ჩვენს თხოვნაზედ სრული უარი გვითხრეს, რადგან ის ფული, რომლიდამაც ჩვენ წილს ვითხოვთ, იმავე ნავთ-სადგურისთვის დახარჯულა და შემდეგაც დასახარჯავ ფულისათვის გროვდებაო. ამის შემდეგ ქალაქის თავი კიდევ დარჩა პეტერბურგს სამის თთვის განმავლობაში და შემდეგ მოიწერა დეპეშით: 500 მ. მომაწოდეთ მალე, რადგან საქმის წარმოების განსაგრძობად ძლიერ საჭიროაო. ეს გარემოება ვერაფრად ეპაშნიკათ ხმოსნებს, რადგან გადაწყვეტილი იყო, ზემოხსენებულ საქმისათვის ნულარას დავხარჯავთო, მაგრამ ძირვერ დაუშვეს თავის თხოვნა და ზემოხსენებული ფულიცა. ვნახოთ, მაინც რა გამოვა რისაგან და რა ამბით ან როდის, დაუბრუნდება ფოთს [illegible] ჭირვების და ხოლერის [illegible]ნის დროს.

⁂ გაზეთი „Нов. Обо.“ სწერს: ხოლერით ავადმყოფთათვის ახლად გამართულს სამკურნალოში ცალკე განყოფილება არ არისო საეჭვო ავადმყოფთათვის და ძლიერ საშიშოა, რომ ესენიც ხოლერიანთან დაიწინონ. ამიტომ საჭიროა, ეხლავე გამართული იყოს სამკურნალოში ცალკე განყოფილება საეჭვო ავადმყოფთათვის.

⁂ გაზეთ „Нов. Обо.“-ში ვკითხულობთ: იმ უფასო საჩაიოს გარდა, რომელიც თამამშოვის ქარვასლის მახლობელ ბაღშია გამართული, კიდევ ორი საჩაიე გაიმართება, ალექსანდრეს ბაღში, „ლონდონის“ სასტუმროს პირდაპირ, და ოლანოვის სახლში, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად.

⁂ გაზეთი „Каспій“ იუწყება: კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა შერემეტიევმა რკინის გზის ლიანდაგზედ ტფილისიდგან ბაქომდე ხოლერით ავადმყოფთათვის გამართული სამკურნალოები დაათვალიერა. 26 ივნისს მთავარ-მართებელმა დაათვალიერა ბაქოს სამკურნალოები და სალიანის ბატალიონი და ხვალ, 27 ივნისს, პეტროვსკსა და დერბენტში გაემგზავრება.

⁂ იმავე გაზეთში ვკითხულობთ შემდეგ განცხადებებს: მირზაბეკიანცების თამაქოს ქარხანა 25 ივნისიდგან დაიკეტა.

ბეგლიაროვების მაღაზი დროებით დაიკეტა.

გევორქოვისა და გალუსტოვის მაღაზია ხოლერის გამო დაიკეტა.

⁂ ახალციხესა და ფასანაურში სამკურნალოში სადგურებს გამართავენ საცა ყველა მგზავრს გამოჰკითხავენ საიდგან სად მიდის. ვინც ხოლერიან ადგილებიდგან მომავალი აღმოჩნდება, რამდენსამე ხანს სადგურში გააჩერებენ და თუ ავადმყოფი არ გამოდგა, მგზავრობის ნებას მისცემენ. ამ ღონისძიებას იმიტომ იხმარენ, რომ აბასთუმანსა და რუსეთში ხოლერა არ გადავიდეს.

## თელავის სამოქალაქო სასწავლებელი.

12 თიბათვეს ეგზამენები გათავდა, 14-კი (კვირას) წლიური აქტი იყო. აქტს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო; საქტო დარბაზი მშვენივრად მოერთოთ და მოეწყოთ სურათებით და სხვა ავეჯეულობით. მთელი დარბაზი ფათალოს და სხვა ყვავილების გრეხილებით და გვირგვინებით იყო შემკული. იმ კედელზედ, რომელთანაც კათედრა იდგა, გამოეფინათ რუსეთის და უცხოეთის გამოჩენილ მწერალთა სურათები, შემკული აგრეთვე გვირგვინებით. ამ მორთვა-მოკაზმულობამ დამსწრე საზოგადოება ძალიან ასიამოვნა.

აქტი დაიწყო „Коль славенъ“-ით, რომელიც დაუკრა მოსწავლეთა სამუსიკო დასმა. ამის შემდეგ ინსპექტორმა სასწავლებლისამ ბ-ნ ვასილ იოსების ძე კიკნაძემ წაიკითხა წლიური ანგარიში, რომლიდგანაც სჩანს:

თელავის სამოქალაქო სასწავლებელი ყოფილა გადაკეთებული სამაზრო სასწავლებლიდამ 1 ივლისს 1878 წ. და შეიცავს: მოსამზადებელ განყოფილებს ერთის წლის კურსით, I, II და III კლასებს, ორ-ორის განყოფილებით თითო კლასში. მთელი სამოსწავლო კურსი მაშასადამე 7 წლიწადია. სასწავლებელს აქვს საკუთარი კარგი ბიბლიოთეკა და საფიზიკო კაბინეთი, ღირებული ორივე 390 მან. საფიზიკო კაბინეთს აქვს ტრეთვე მუზეუმი, 7 განყოფილებად დანაწილებული. სასწავლებელში სწავლიან აბრეშუმის მოყვანას და წლს საკმაოდაც მოუვიდათ პარკი.

ამ წელიწადს 13 მოსწავლემ დაამთავრა კურსი—7 ქართველია და 6 სომეხი. ყველამ მიიღო ატესტატები, ოთხმა ქებისფურცლითურთ (2 ქართველმა და 2 სომეხმა). საანგარიშო წლის განმავლობაში მოსწავლეთა რიცხვი იყო: 114 ქართველი, 6 რუსი, 123 სომეხი და 5 მთიელი. ამათ შორის აზნაური იყო 40, სასულიერო წოდებისა 12, სავაჭრო მოქალაქე 1, სხვა სამოქალაქო წოდებისანი 162, გლეხი 31 და ჯარის-კაცთა შვილი 2. ქართულ ენას სწავლობდნენ 96 ქართველი, სომხურს 104. სხვა-და-სხვა კლასებში დარჩენილ მოსწავლეთა რიცხვი—32; შემოდგომისათვის გამოსაცდელი ეგზამენები (переэкзаменовки) დაენიშნა 26, ერთის კლასიდამ მეორეში გადამსვლელთ რიცხვს ერთობ შეადგენს 170 მოსწავლე. ამათში შვიდი ქების ფურცელით დააჯილდოვეს—4 ქართველი და 3-ც სომეხი.

სასწავლებელში სულ 6 მასწავლებელია, მათ შორის 4 ქართველი: ინსპექტორი ვასილი იოსების ძე კიკნაძე, მღვდ. იოანნე შიუკაშვილი, სერგეი დავითის ძე მამალაძე და დიმიტრი გაბრიელის ძე ცისკარაშვილი; 1 რუსი—სერგეი კუზმას ძე მიტროფანოვი და 1 სომეხი—იოსებ სტეფანეს ძე სტეფანოვი.

სხვათა შორის აქტზედ მასწავლებლებმა ბ-ნმა მიტროფანოვმა და ბ-ნმა სტეფანოვმა წაიკითხეს წერილები: 1-ლი „ქალების აღზრდის საქმე და პირობები" (Условія воспит. женщины) და მეორე „სალიტერატურო მოღვაწეობა ა. ს. პუშკინისა" (Литературная дѣятельность А. С. Пушкина). მასწავლებელმა მამალაძემ წაიკითხა საპედაგოგიო საბჭოს ოქმი შესახებ მოსწავლეთა გადაყვანისა ერთის კლასიდამ მეორეში.

მოსწავლეთა ხორომ ბ-ნ მამალაძის ლოტბარობით იმღერა რამდენიმე რუსული სიმღერა და ქართულად „მიდის გემა ჩქარა". მოსწავლეთა სამუსიკო დასმა დაუკრა რამდენიმე ხმა.

შემდეგ ყველა ამისა სალმრთო სჯულის მასწავლებელმა მ. იოანნე შიუკაშვილმა მიჰმართა რამდენისამე საგრძნობელის სიტყვით იმ მოსწავლეთა, რომელთაც კურსი დაამთავრეს, მოინდომა მათთვის ბედნიერი მომავალი, დაარიგა და დალოცა.

დასასრულ სამუსიკო დასმა დაუკრა: «ღმერთო, ჰფარავდე მეფესა». ხალხი ნასიამოვნები დაიშალა. აქტს დაესწრო საერო სასწავლებელთა დირექტორი ბ-ნი დარსკი, რომელმაც თავისის ხელით დაურიგა მოსწავლეთ ატესტატები და ქების ფურცელნი. აქტსვე დაესწრო თელავის მაზრის უფროსი თ. ჩოლოყაშვილი და ზოგიერთნი სხვა წარჩინებულნიც.

ი. ზურ—შვილი

## უცხოეთი

**ინგლისი.** საერთო რიცხვი შეერთებულ სამეფოს ამომრჩეველთა, როგორც უკანასკნელ ცნობათაგანა სჩანს, 6.161,456 არის. ამათგან ბევრი ვერ მიიღებს მონაწილეობას მომავალს არჩევანებში, რადგანაც ზოგი დაიხოცება არჩევანებამდე და ზოგიც არჩევანების დროს თავისს ოლქში არ იქნება. ყოველივე ეს რომ გამოვიდეთ და მხედველობაში ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ზოგს ამომრჩეველს ბევრი ხმა აქვს, შეიძლება 6 მილიონი ამომრჩეველი ვიანგარიშოთ. სულ-კი ინგლისში 8 მილიონი ოჯახია 38 მილიონის სულით. 1859 წელს ამომრჩეველთა რიცხვი მხოლოდ 800,000 იყო, მაგრამ 1884—85 წწ. მოხდენილ ცვლილების მიზეზით იმატა ამომრჩეველთა რიცხვმა. უამცვლილებოდაც თავის თავად 1886 წელს აქედ 354,000-ით იმატა.

თუ ვისა და ვისა აქვს ნება არჩევანებში მონაწილეობის მიღებისა, ეს არჩევანებამდე რამდენისამე ხნის წინად უნდა გამოირკვეს ხოლმე. ვინც სიაში არ მოჰყვება და ნება-კი აქვს არჩევანებში მონაწილეობის მიღებისა, შეუძლიან იჩივლოს და ჩააწერინოს თავისი თავი ამომრჩეველთა სიაში. თუ ვინმე უკანონოდ ჩაიწერება სიაში, მოწინააღმდეგე დასი უჩივის და სცდილობს ამოაშლევინოს სიიდგან. ყოველ დასის აგენტს ნება აქვს ასეთის საჩივრების დაწყებისა. აგენტებს ყოველ წლივ რამდენისამე თთვის განმავლობაში გაცხარებული ბრძოლა აქვთ ხოლმე ერთმანეთ შორის გამართული. ვისაც უნდა, რომ ამომრჩეველთა სიაში იყოს ჩაწერილი, უნდა ივლისშივე განაცხადოს თავისი სურვილი. შემდეგ წლის დამლევამდე ექვსის თთვის განმავლობაში განსაკუთრებული მოხელეები იმათ საბუთებს და აგენტების საჩივრებს არჩევენ. წლის დამლევს ამომრჩეველთა სიები იბეჭდება და ვინც შიგ იქნება ჩაწერილი, შემდეგს წელს ნება აქვს ამომრჩევლებისა. ამ სახით მომავალს არჩევანებში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, ვინც ამომრჩეველთა სიებში არიან ჩაწერილნი წრევანდელის წლის პირველ იანვრამდე.

თვით არჩევანების წარმოება ისეა მოწყობილი, რომ ამომრჩეველთა შესყიდვა შეუძლებელი. ამ შემთხვევაში უთავრესი საყურადღებო გარემოება ის არის, რომ კენჭის ყრა ჩუმადა ხდება. ყოველ ამომრჩეველს ეძლევა დაბეჭდილი სია კანდიდატებისა. ამომრჩეველი უნდა შევიდეს პატარა ოთახში, სადაც ვერავის შეუძლიან დაინახოს, და იქ ჯვარი დაუსვას ერთ-ერთის კანდიდატის სახელსა და გვარს თავის სურვილისამებრ. შემდეგ უნდა დაჰკეცოს სია ისე, რომ ბეჭედი ზემოდგან სჩანდეს და დასმული ჯვარი-კი არა, და საარჩევანო უჯრაში ჩააგდოს. თუ სიაში ჯვარზედ მეტი სხვა რამ ნიშანია დასმული, იმ კენჭს მნიშვნელობა არარა აქვს. თუ მეკენჭემ ან თვისი სახელი წააწერა სიას და ან სხვაფრივ აღნიშნა როგორმე თავისი ვინაობა კანდიდატს, იმისი კენჭი უყურადღებოდ იქნება დატოვებული. ასეთი წესი არჩევანების წარმოებისა, რასაკვირველია, უზრუნველ ჰყოფს კენჭების შეუსყიდველობას.

## წვრილი ამბავი

პარიჟში ამას წინად დიუჟარდენ-ბომეცმა გამოიკვლია რამდენისამე უცნაურად გარდაცვლილის კაცის სიკვდილის მიზეზი. ეს ხალხი პარიჟში უცბად დაიხოცა. შესანიშნავმა პროფესორმა განაცხადა, რომ ესენი ხოლერით დახოცილანო. პარიჟში იმ აზრისანი არიან, რომ ხოლერა საფრანგეთში იტალიიდგან უნდა შემოეტანათო. იტალიაში-კი ახისპანიიდგან გადმოვიდოდაო. იტალიაში, როგორც სჩანს, ჭეშმარიტს მდგომარეობას საქმისას ევროპისაგან ჰმალავენ.

— მწერალი ბიორნსტიერნე-ბიორნსონი ესლა მშვიდობიანობის დაცვის შესახებ ბაასობს. ამას წინად მან ამ საგნის შესახებ მოედანზედ დაიწყო ბაასი ხუთი ათასის კაცის წინაშე და დასასრულ განაცხადა: „იძულებულ ჰყავით თქვენთა შვილთა მასწავლებლები, რომ სასწავლებელში მშვიდობიანობა იქადაგონ, თქვენს მღვდელ-მოძღვრებსაც ამის შესახებ ებაასნეთ და ნურც ერთს დეპუტატს პარლამენტისას ნუ ამოირჩევთ, რომ მშვიდობიანობას გულით არ იყოს მოწადინებულიო".

— საფრანგეთის გაზეთები იუწყებიან, გუი დე-მოპასანი უკეთ არის, თითქმის სრულიად გამობრუნდა და გონებაზედ მოვიდაო. ეს შესანიშნავი რომანების მწერალი იმედია, ჩქარა მიჰყოფს კვლავ ხელს წერასაო.

— ერთს სტატისტიკოსის გამოანგარიშსა, რომ მთელის ქვეყნის ზურგზედ მხოლოდ 4,000 ქაღალდის ფაბრიკაა, რომლებიც 952 მილიონს კილოგრამს აკეთებენ. ამ ქაღალდისა სახევარი სტამბებს უნდება. მცხოვრებლების კვალობაზედ რომ გასაწილდეს ყოველიდვე ეს ქაღალდი, გამოვა, რომ ინგლისში ერთს კაცს 11½ გირვანქა ქაღალდი სჭირდება, ამერიკაში—10½, გერმანიაში—8, საფრანგეთში—7½, ავსტრია-ვენგრიაში—3½, ისპანიაში—1½ და რუსეთში-კი—1.

## დეპეშა

27 ივნისი

**პეტერბურგი.** ყაზანში 25 ივნისს მოკვდა, ჰგონებენ აზიურის ხოლერით, ცხენის რკინის გზის კონდუქტორი; სხვა არავინ გამხდარა ავად. სიმბირსკში არავინ გამხდარა ავად. სარატოვში 25 საავადმყოფოში კვლავ მიიყვანეს 5, მორჩა 3, მოკვდა 11, დარჩა ავადმყოფი 40; ხვალინსკში 24 ივნისს ავად გახდა 2, სამხრეთიდგან გემებით მოსული; ასტრახანში 25 ივნისს ავადმყოფი იყო სამკურნალოებში 38, რეიდზე 74; პეტროვსკში 24 ივნისს სამკურნალოებში იყო 19 ავადმყოფი; შუშასა და იმისს მაზრაში—30; განჯაში 45; ბაქოს სამკურნალოებში მოკვდა 18, დარჩა ავადმყოფი—179, სამკურნალოს გარეშე მოკვდა 94; მცირედნი ხდებიან ავად აგრეთვე კავკასიის სხვა ადგილებშიაც.

სასანიტარო კანონთა წესიერად აღსასრულებლად პეტერბურგის «გრადონაჩალნიკმა» განკარგულება მოახდინა, რომ თითოეულს 38 განყოფილებაში თითო სასანიტარო დასი დაწესდეს სასანიტარო მზრუნველით, მკურნალითა და პოლიციის მოხელეთი. დასი იმოქმედებს ხელმძღვანელობით განსაკუთრებულის საკრებულოსი, რომელიც სამკურნალო გამგეობასთან არის დაარსებული.

სატახტო ქალაქის გასასუფთავებელ-გასასაღიანებლად საბჭომ გუშინ 200,000 მანათი გადასდო.

მინისტრთა კომიტეტმა ნება დართო ორიოლის ერობას, დროებით სცადოს საერობო დაზღვევა სეტყვისაგან ნათესთა. ასეთისავე ნება-რთვის მიცემა სხვათათვის მინდობილი აქვს სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, რომელიც უნდა მოელაპარაკოს ხოლმე შინაგან საქმეთა მინისტრს.

**პარიჟი.** დღეს სენტ-უანში 5 კაცი გახდა ავად ხოლერის მგზავსის ფაღარათობით და ერთი მოკვდა; პარიჟის სხვა მიდამოებიდგან სხვათა ავადმყოფობის შესახებ ამბავი არა მოსულა-რა.

**ლეიპციგი.** ოთხშაბათს, დილის 4 საათზედ, «Cafe bauer»-ში უბრალო მიზეზისა გამო, ვითომდა საფრანგეთის მთავარ ელჩის ქუკოს მხრივ, ჩხუბი მოხდა ელჩსა და სხვა სტუმართა შორის. საქმე ისე გამწვავდა, რომ პოლიციის მიწვევა დასჭირდათ. ქუკომ პირველში წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას, მაგრამ 5 პოლიციელმა წაიყვანეს საპოლიციო განყოფილებაში, საიდგანაც შეამოწმეს რა იმის ვინაობა, დაითხოვეს.

**პეტერბურგი.** ს.-პეტერბურგის ბირჟა. გირავნობის ფურცლები სააღგილ-მამულო ბანკთა: ტფილისისა: 6%—102 მ. მყ., 5%—99¼ მ. მყ.; ქუთაისისა 6%—102¼ მ. მყ., 5%—99½ მ. მყ. ობლიგაციები ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებისა 5%—98½ მ. მყ.

28 ივნისი

**პეტერბურგი.** „Правит. Вѣст."-ში დაბეჭდილია: „საჭირო ღონისძიებამ ხოლერის გავრცელების საწინააღმდეგოდ ასტრახანში უაზრო ხმები გაავრცელა ქალაქში მუშა მკვიდრთა შორის იმის თაობაზედ, რომ ვითომ ხოლერა სრულიად არ არის, ავადმყოფები უსაბუთოდ მიჰყავთ სამკურნალოებში, ვითომ ექიმები უკანონოდ იქცევიან, კუბოებში ცოცხალს ავადმყოფებს აწყობენ და კირს აყრიან ზემოდგანო. ამ გვარის ხმებით აღელვებულმა გროვამ მუშებისამ უწესოება მოახდინა: იძალმომრევა მკურნალებზედ, სამკურნალოდგან დაიტაცა ხოლერით ავადმყოფები, დაიტაცა იქიდგანვე გვამები დაუმარხავ მკვდართა და ცეცხლი წაუკიდა სამკურნალოს; ამას გარდა აღელვებულმა ხალხმა ქვის სროლა დაუწყო გუბერნატორის სახლის ფანჯრებს. ყოველივე ეს უგონო უწესოება ვერ მოასპობინეს ვერც დარიგებით, ვერც საპოლიციო ღონისძიებით და ადგილობრივი ადმინისტრაცია იძულებული შეიქმნა იარაღი ეხმარა. მხოლოდ პირველის თოფის გასროლის შემდეგ შეიგნო ხალხმა თავის უგონობა და დაიშალა, ხოლო როცა სარატოვიდგან მოწვეული ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი მოვიდა, წესიერება აღდგენილ იქმნა ასტრახანში. დამნაშავენი პასუხის გებაში მისცეს.

რადგანაც [illegible] ხოლერა არის, ამიტომ აღკრძალული იქმნა რუსეთის ქვეშევრდომ მაჰმადიანთათვის პასპორტების მიცემა საზღვარ-გარედ აზიის ოსმალეთში წასასვლელად.

გამოცხადებულ იქმნა ღონისძიებანი რკინის გზებზედ სახმარებლად, რადგან ხოლერამ იჩინა თავი.

26 ივნისს ასტრახანში ხოლერით ავადმყოფი სამკურნალოებში იყო 115; ბლაგოსლოვენი პრომისლში 76, მოკვდა 32; სამარას სამკურნალოებში 5, კვლავ მიიყვანეს—3; ყველანი მოსულები არიან; მოკვდა ერთი; პოკროვსკის სოფელში მოკვდა 4, დარჩა ავადმყოფი 12; სარატოვის სამკურნალოებში ავადმყოფი იყო 63, მოკვდა 16; ცარიცინში ავადმყოფი 9 არის, პეტროვსკში 9; შუშაში ავად გახდა 12, მოკვდა 6; 25 ივნისს ბაქოს სამკურნალოებში მიიყვანეს 46, მორჩა 11, მოკვდა 25, დარჩა ავადმყოფი 180, სამკურნალოებს გარეშე მოკვდა 27; სოფელს პროხლადნაიაში ავადმყოფია 36; სოფელ პრიბლიჟნაიაში ავად გახდა 8, მოკვდა 3.

**ათინა.** გუშინ ფალეარნის თეატრში ოსმალეთის ელჩმა და საბერძნეთის აფიცრებმა ერთმანეთს მკაცრი სიტყვები ჰკადრეს პირადის საქმის თაობაზედ. ამის გამო დუელი მოხდა ოსმალეთის მისსიის მდივანს ალფრედ-ბეისა და საბერძნეთის ცხენოსან ჯარის აფიცერს პიერაკოსს შორის; პიერაკოსი მძიმედ დაიჭრა. მოელიან მეორე დუელს, მაგრამ მთავრობა აღუკრძალავს.

**კატანია.** გუშინ ეტნადგან დაიწყო ამოდენა კვამლმა და ფერფლმა. ვრცელი კონუსი ძლიერ მაღლა ავიდა და შემდე ქარმა ღრუბელსავით წაიღო კატანიაზედ. ხშირს ორთქლში ელვა სჩანდა. ერთს საათს შემდეგ ეტნა დაწყნარდა.

**კატანია.** შუა-ღამეს შემდეგ საღამოს 6 საათამდე მიწა იძრა. დღეს ეტნაზედ მიწამ დიდი პირი ჰქნა და იქიდგან დაიწყო დენა სამხრეთს მტუტემ სულ 19 კილომეტრის მანძილზე კატანიიდგან; მტუტე დიდის სიჩქარით მიმდინარეობს და საშიშს ჰყოფ სოფელს რინდცის ეილპოსტის საზოგადოებაში.

29 ივნისი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა წამობრძანდნენ კოპენჰაგენიდგან გუშინ საღამოს 8 საათზე.

რადგან გუბერნატორებმა, ერობათა და სანავოსნო ამხანაგობათ სთხოვეს მთავრობას, გამოგვიგზავნეთ მკურნალი სტუდენტები და ფერშლებიო, სამკურნალო დეპარტამენტი მოუწოდებს ყველას, ვისაც-კი სურს გაგზავნილ იქმნას სხვა-და-სხვა ალაგას სამკურნალო ძალ-ღონეთა გასამატებლად, მიჰმართონ დეპარტამენტს და თან წარუდგინონ საბუთები თავის ვინაობისა.

27 ივნისს ასტრახანში კვლავ გახდა ავად 74, გარდაიცვალა 43, დარჩა ავადმყოფი 114; სამარასა და

პაკროვის სლობოდაში კვლავ ავად გახდა 31, გარდაიცვალი 4, მორჩა 4; სარატოვის სამკურნალოებში მიიყვანეს 10, გარდაიცვალა 12, დარჩა 64, სამკურნალოებს გარეშე იყო 16 ავადმყოფი, გარდაიცვალა 3; ცარიცინში 22 ივნისიდამ სულ გარდაიცვალა 47; ბაქოს სამკურნალოებში 27 ივნისს მიიყვანეს 29, გარდაიცვალა 32, სამკურნალოთებ გარეშე გარდაიცვალა 41; კავკასიის ზოგიერთს ალაგასაც გახდა რამდენიმე ავად; 25 ივნისს პროხლადნოის სტანციაში გახდა ავად 42, შუშაში—34.

„Нов. Вр.“ იუწყება, რომ სარატოვიდამა, სამარადიმა და ბაქოდამ მოუვიდათ უნივერსიტეტებს თხოვნა, გამოგვიგზავნეთ სტუდენტები-მკურნალნიო და თვეში 150 მან. მივცემთ ჯამაგირსაო.

**ლონდონი.** ჯონსის კუნძულიდამ, რომელიც ნიუფაუნდლენდზეა, იწერებიან დეპეშით, რომ 27 ივნისს გაჩნდა ცეცხლი და $^2/_3$ ქალაქისა გადაიწვაო; ეკკლესიები და უკეთესი სახლები სულ გადაიბუგაო. ზარალი 3—4 მილიონ გირვანქა სტერლინ გამდეაო. ხალხი უსავანოდ და ულუკმა-პუროდ დარჩა. შემწეობა გაიგზავნაო.

სან-ფრანცისკოდამ მოსული დეპეშა იუწყება, რომ დღეს დილით პაერში აიტანა აფეთქების გამო 12 მილის მანძილზედ მყოფი ქარხანა თოფის წამლისაო. ქარხნის ყველა შენობანი დაიქცა. 180-მდე მუშა კაცი, თითქმის სულ ჩინელები, დაიხოცნენ.

**კატანია.** ღამის განმავლობაში ფრქვევა ცეცხლ-მქშინავის მთისა მეტის-მეტად გაძლიერდა. ცხელი ნაცარტუტი მოდის მდინარესავით და ორ ტოტად იყოფა: ერთი ტოტი ნიკოლოოზისკენ მიდის ხოლო მეორე—ბალნოსტროსკენ. ამ ჟამად ნაცარტუტი სულ 6 კილომეტრის მანძილზეა ნიკოლოოზიდამ.

**პარიჟი.** ოფიციალური დეპეშა, ხანოიდამ მოსული, იუწყება, რომ საფრანგეთის ქარავანს ჩაუსაფრდნენ ლანგსონის გზაზედ ჩინელი ავაზაკები და თავს დაესხნენო. ფრანგებს მოუკლეს 10 კაცი, მათ შორის 2 აფიცერი, და 17 კაცი დასჭრესო.

30 ივნისი

**მონბრიზონი.** როცა სასამართლო უწყების მოხელენი მივიდნენ საპატიმროში, რავაშოლს ეძინა; გაიღვიძა-რა, ისა სთქვა მხოლოდ, რომ მზნედა ვარ და სრულიად არა ვშიშობო. რავაშოლმა ტანთ ჩაიცვა სხვის დაუხმარებლად, დალია ერთი ჭიქა წყალი და, როცა გაიგო, რომ ნებას არ მოგცემენ ხალხის წინაშე ილაპარაკოვო, არ ესიამოვნა. სიკვდილით დასაჯეს რავაშოლი საპატიმროს მოედანზე. ხალხის სიარული ახლო-მახლო ქუჩებში გაუქმებული იყო: ჯარები იდგნენ ყოველგან და არ უშვებდნენ ახმაურებულს ხალხს. რავაშოლი ავიდა სასჯელ ადგილის მაღლობზედ და სთქვა: „მე მინდა ვილაპარაკო, სათქმელი მაქვს რამე“, მაგრამ ამ დროს დაუდეს თავი გილიოტინის ქვეშ იმ წუთს, როცა გილიოტინის მახვილი წამოვიდა და უნდა დასცემოდა რავაშოლს, მან მოასწრო და დაიძახა: „გაუმარჯოს რესპუბლიკასაო!“ ქუჩებიდამ ამ დროს მოისმოდა ყვირილი ბრბოსი. ამის მეტი სხვა არა მომხდარა.

პეტერბურგის ბირჟა, 26 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,05 | 8,08 | — ,, |
| ტრამოყნის კუპონები . | 161 | 161 3/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — ,, | 1,09 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 239 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 220 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | 192 1/2 | 192 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6°/₀. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

**გამოსადეგი ცნობანი**

ღიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. სალ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. სალ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. სალ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. სალ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განადისაითს.

ფოთიდგ გადის:ნ

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

# განცხადებანი


თიბათვის ოც-და-ათს არის დანიშნული ვაჭრობა ჩარგლის ეკკლესიის შეკეთების თაობაზედ. მსურველნი ამ დანიშნულს ვადაზედ უნდა გამოცხადდენ ს. ჩარგალში ადგილობრივს მღვდელთან.

ბლ.-მღვ. კოსტანტინე სემიჩი.

(3—3)

საჭიროა შესაბამლე ცხენის იარაღის მკეთებელი ანუ

სარაჯი

თეირანს წასასვლელად. ჯამაგირი თვეში ხუთი თუმანი ექნება. იქ წასვლისა და შემდეგ მოსვლის ხარჯიც ცალკე მიეცემა. მსურველი მოვიდეს კოტრინის ეტლთა ქარხანაში, მიხეილის ქუჩაზედ. (2—2)

გასაფრთხილებლად.

ჩვენს პატივცემულს მყიდველებსა ვთხოვთ, რომ მოითხოვონ ხოლმე ჩვენ მიერ გამოგონილი საპონი

ოლეო-ვაზელინის

როიალ-კონგო

მხოლოდ ჩვენის წარწერით-კი ე. ბოდლოსი და ამხ. ამ საპონმა დიდი სახელი გაითქვა და არა აქვს-რა საერთო ღირსებითა და სუნით სხვა ამ სახელის მაგვარ სახელიან საპნებთან.

საპარფიუმერო ფაბრიკა

„ვიქტორია რეგინა“

ე. ბოდლოსი და ამხ.

მოსკოვს.

ისყიდება ყველგან! (10—4)

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—67)



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масл и прочее ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ტფილისში:

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრაბკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემსგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთი წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეი გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—23)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით. | . . . 10 მ.—კ. | | 6 თვით | . . . 6 მ.—კ. | |
| 11 ,, | . . . 9 ,, 50,, | | 5 ,, | . . . 5 ,, 50,, | |
| 10 ,, | . . . 8 ,, 75,, | | 4 ,, | . . . 4 ,, 75,, | |
| 9 ,, | . . . 8 ,, —,, | | 3 ,, | . . . 3 ,, 50,, | |
| 8 ,, | . . . 7 ,, 25,, | | 2 ,, | . . . 2 ,, 75,, | |
| 7 ,, | . . . 6 ,, 50,, | | 1 ,, | . . . 1 ,, 50,, | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული, ან შესწორებული იქნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.


ეროვნული ბიბლიოთეკა